

განათლება როგორც საქართველოს სააქციო საზოგადოებების საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის გაუმჯობესების კატალიზატორი

EDUCATION AS A CATALYST FOR IMPROVEMENT OF OWNER'S EQUITY STRUCTURE OF GEORGIAN JOINT STOCK COMPANIES

იოსებ მამუკელაშვილი,

დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირების
სადოქტორო პროგრამაში ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, თბილისი

IOSEB MAMUKELASHVILI

PhD in Business Administration
Candidate Ivane Javakhishvili Tbilisi
State University, Tbilisi

ანოტაცია

განათლება არის კატალიზატორი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ნებისმიერი საზოგადოებრივი ცვლილება. წინამდებარე კვლევა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს სააქციო საზოგადოებებს ჭირდებათ ფინანსური ანგარიშგების წარმოება თავიანთი კაპიტალის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად. მაშასადამე, ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციას არის კრიტიკული სააქციო საზოგადოებების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, რაც აგრეთვე ხელს უწყობს მათი საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის გაუმჯობესებაში. შესაბამისად, ამ კვლევაში განხილულია განათლების მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესში.

კვლევა ორგანიზებულია შემდეგნაირად: მოპოვებულ იქნა ცნობილი გერმანელი მეცნიერის და ეკონომისტის, კლაუს შვაბის 2014-2015 წლების "მსოფლიოს კონკურენტუნარიანობის ანგარიში" აღნიშნული მსოფლიოს მასშტაბით განათლებისა და ფინანსური ანგარიშგების კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა მონაცემთა ბაზეზად. დადგინდა, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაც და ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

კვლევის მიზანი იყო მსოფლიოს 144 ქვეყანაზე დაყრდნობით განსაზღვრულიყო საგანმანათ-

ლებლო სისტემასა და ფასს-ის იმპლემენტაციას შორის ურთიერთკავშირის მასშტაბები. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტების მაღალი ხარისხი არის 57%-იანი წინაპირობა ფასს-ის წარმატებით იმპლემენტაციისთვის. აგრეთვე, კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მჭიდრო კავშირი არის 62%-იანი წინაპირობა ფასს-ის წარმატებით იმპლემენტაციისთვის.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, სააქციო საზოგადოებები, ფინანსური ანგარიშგება, საკუთარი კაპიტალი, აქციების საჯარო შეთავაზება

ABSTRACT

Education is a catalyst through which major societal changes take place. This paper is based on the premise that Georgian state-owned joint stock companies need financial statements in order to improve its capital structure. The above-mentioned premise is also based on the assumption that implementation of high quality accounting standards is crucial to the provision of financial statements that are necessary for joint stock companies to improve its owner's equity financing opportunities. Therefore, the role of education must be examined in the context of implementation of International Financial Reporting Standards.

The research process was organized as follows: the Global Competitiveness Index of 2014-2015 by Klaus Schwab published by the World Economic Forum was obtained as a source of data to examine educational systems and the implementation of IFRS in various countries of the world. It was evident that Georgia's educational system and the level of IFRS implementation both need improvement.

The goal of this research was to study if there is any cause and effect relationship between the quality of educational system and IFRS implementation in 144 countries of the world, including Georgia. Empirical evidence suggests that the quality of countries' educational and research institutions is a 57% precondition to the successful implementation of IFRS. Furthermore, collaboration between educational institutions and private sector entities is a 62% precondition to the full implementation of IFRS.

Keywords: Education, International Financial Reporting Standards, Joint Stock Companies, Financial Statements, Owner's Equity, Initial Public Offering

განათლება და კვლევა არის უმნიშვნელოვანესი ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმის წამოწყებაში. ცნობილი მკვლევარი და პროფესორი, რობერტ სინგერი მიიჩნევს, რომ ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიაში ძალზედ მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების დონეზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სწავლება [1]. აღნიშნულ ფენომენს აგრეთვე ეხმაურება მსოფლიო ბანკის

ანგარიშიც საქართველოს შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ “უნივერსიტეტები ზოგადად განიცდიან კვალიფიციური მასწავლებლების, ასევე ქართულ ენაზე სასწავლო და სახელმძღვანელო მასალების ნაკლებობას ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში” [2, გვ. 28].

საერთაშორისო დონეზე არსებობს კონსესუსი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბულალტრული აღრიცხვა და აუდიტი არის მეტწილად პრაქტიკული პროფესია, საუნივერსიტეტო დონეზე მნიშვნელოვანია არსებობდეს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების შესწავლისათვის ძლიერ ბაზისი, რაც ქვეყანაში ამ სფეროების განვითარების საწინდარი იქნება. ცნობილი გერმანელი პროფესორის და მკვლევარის, კლაუს შვაბის 2014-2015 წლების მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში, ე.წ. მე-12 მიმართულება ასახავს ქვეყნებში განათლების დონეს. ამ მიმართულებით მას რანჟირებული ჰყავს მსოფლიოს 144 ქვეყანა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მიხედვით [3]. ზემოაღნიშნულ ანგარიშში აგრეთვე რანჟირებულია მსოფლიოს 144 ქვეყანა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების იმპლემენტაციის ხარისხის მიხედვით.

ცხრილ 1-ში მოცემულია სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის და უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობის მონაცემების ზოგადი მიმოხილვა. სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მიხედვით, მაქსიმალური ქულა მიენიჭა შვეიცარიას 6.53-ის ოდენობით. მას მოსდევს გაერთიანებული სამეფო, ისრაელი და აშშ. მინიმალური ქულა მიენიჭა იემენს 1.66-ის ოდენობით. ამ მიმარ-

ცხრილი 1

სამეცნიერო/კვლევითი დაწესებულებების ხარისხი, უნივერსიტეტების/კერძო სექტორის თანამშრომლობის დონე, ზოგადი მიმოხილვა ზოგადი მიმოხილვა

	N	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო	სტ. გადახრა
სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	144	1.6603	6.3537	3.831078	1.0698879
უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობის	144	1.7374	5.9681	3.678319	.9268805
ვალიდური	144				

წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

თულებით საქართველო სამწუხაროდ იმყოფება 119-ე ადგილზე 2.84 ქულით კამბოჯასა და ნიგერის შორის. საშუალო მაჩვენებელი ამ კუთხით შეადგენს 3.83-ს, ხოლო სტანდარტული გადახრაა 1.06-ს.

უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობის კუთხით მაქსიმალური ქულა მოიპოვა ფინეთმა 5.97-ის ოდენობით. მას მოსდევს აშშ, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო. მინიმალური მაჩვენებელი ამ კუთხით მიენიჭა ლიბიას 1.74-ის ოდენობით და მას მოსდევს კვლავაც იემენი. საქართველოს ამ მონაცემში სამწუხაროდ უკავია 128-ე ადგილი 144 ქვეყნიდან და აქვს 2.64 ქულა ნეპალსა და გაბონს შორის. საშუალო მაჩვენებელი უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობის კუთხით არის 3.68, ხოლო სტანდარტული გადახრა – 0.93.

ნამშრომლობის მონაცემი ($SW=0.972, p=0.005$) არ იყო ნორმალურად გადანაწილებული.

ზემოაღნიშნული ცვლადების ტრანსფორმირება მოხდა კვადრატული ფესვის ტრანსფორმირების მეშვეობით. ცხრილ 3-ში მოცემულია ტრანსფორმირებული ცვლადების ხელახალი ნორმალურობის ტესტები, რის მიხედვითაც სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხიც ($SW=0.986, p=0.151$) და უნივერსიტეტის და კერძო სექტორის თანამშრომლობაც ($SW=0.986, p=0.151$) ნორმალურადაა გადანაწილებული.

ზემოაღნიშნული მონაცემების გადანაწილების ნორმალურობის დადასტურების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ დავადასტუროთ აღნიშნული ცვლადების დისპერსიების ჰომოგენურობა.

გრაფიკი 1-ით დასტურდება, რომ დისპერსიები ჰომოგენურია სამეცნიერო/კვლევითი ინსტი-

ცხრილი 2

სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, უნივერსიტეტების/კერძო სექტორის თანამშრომლობა, ნორმალურობის ტესტი

	კოლუმბოროვ-სმირნოვი			შაპირო-ვილკი		
	სტატ.	df	მნიშვ.	სტატ.	df	მნიშვ.
სამეცნიერო/კვლევითი ხარისხი	086	144	.012	.971	144	.004
უნივერსიტ. კერძო სექტორი	.083	144	.016	.972	144	.005

*. ნორმალურობის ზღვარზეა.

წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

ცხრილ 2-ში მოცემულია სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის და უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობის მონაცემების გადანაწილების ნორმალურობის

ტესტების ხარისხის, უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობის და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვის მონაცემებისათვის.

ცხრილი 3

ტრანსფორმირებული სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, უნივერსიტეტების/კერძო სექტორის თანამშრომლობა, ნორმალურობის ტესტი

	კოლუმბოროვ-სმირნოვი			შაპირო-ვილკი		
	სტატ.	df	მნიშვ.	სტატ.	df	მნიშვ.
სამეცნიერო/კვლევითი ხარისხი	.059	144	.200*	.986	144	.151
უნივერსიტ. კერძო სექტორი	.059	144	.200*	.986	144	.151


წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

ტესტები. შაპირო-ვილკის ტესტის მიხედვით თავდაპირველად არც სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი ($SW=0.971, p=0.004$) და არც უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თა-

საჭიროა შესწავლილ იქნეს კორელაციური კავშირი სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის, უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობის და ფინანსური ანგარიშ-

ბრაზიკი 1

დისკარსიების ჰომოგენურობა: სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობა, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვა



წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

გების სტანდარტების სრულფასოვნად დანერგვის ცვლადებს შორის. ცხრილ 4-ში მოცემულია კორელაციის ანალიზის შედეგი, რის მიხედვითაც

კორელაცია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვნად დანერგვას და სამეცნიერო/კვლევითი ინტიტუტების ხარისხს შორის არის

ცხრილი 4

კორელაციის შედეგი: სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობა, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვნად დანერგვა

კორელაციები		ფ.ა.ა.ს.გ.	ს.კ.ი.ხ.	უ.კ.ს.თ.
ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვნად დანერგვა	პირს. კორელაცია Sig. (2-tailed) N	1 .759" 144	.759" 1 144	.786" .000 144
სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	პირს. კორელაცია Sig. (2-tailed) N	.759" .000 144	1 .949" 144	.949" .000 144
უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობა	პირს. კორელაცია Sig. (2-tailed) N	1 .759" 144	.759" .786" 144	.786" .949" 144

წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

0.759, ხოლო კორელაცია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვნად დანერგვას და უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობას შორის არის 0.786. ორივე კორელაციის შედეგი მნიშვნელოვანია ($p=0.000$).

მას შემდეგ რაც დადასტურდა მნიშვნელოვანი კორელაციის არსებობა ზემოაღნიშნულ მონაცემებს შორის, შემთხვევითობის გამოსარიცხად

სა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვან დანერგვას შორის, სადაც ეს უკანასკნელი იყო კვლავ დამოკიდებული ცვლადი. ცხრილ 7-ში მოცემულია აღნიშნული რეგრესიის ანალიზის შედეგი.

ცხრილი 7-ის მიხედვით, რეგრესიის შედეგი როდესაც უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობა არის დამოუკიდებელი ცვლადი

ცხრილი 5

რეგრესიის ანალიზი: სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვა მოქალაქეებისთვის

მოდელი	R	R კვად.	შეწონ. R კვად.	სტ. ცდომილება
1	.759 ^a	.577	.574	.6006745

- a. დამოუკ. ცვლადი: (მუდმივი), სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი
- b. დამოკ. ცვლადი: ადგილობრივი საფონდო ბირჟების მეშვეობით ფინანსირება

წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

საჭიროა რეგრესიის ანალიზის ჩატარება. ცხრილ 5-ში მოცემულია რეგრესიის ანალიზის შედეგი, სადაც სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი გაანალიზებულ იქნა როგორც დამოუკიდებელი მონაცემი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვა – დამოკიდებული მონაცემი.

ცხრილი 5-ის მიხედვით, რეგრესიის ანალიზის რეზულტატი შეადგენს 0.574-ს, რაც წარმოადგენს

დი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვის ცვლადი დამოკიდებული ცვლადი შეადგენს 0.615-ს, რაც არის საშუალოზე მაღალი რეგრესიის მაჩვენებელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობა შეადგენს 62%-იან წინაპირობას ქვეყნებში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვისათვის.

ცხრილი 6

რეგრესიის მაჩვენებლის მნიშვნელობა: სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვა კოფიცინტები

მოდელი	არასტ. კოეფიციენტები		სტ. კოეფიციენტები	t	მნიშ.
	B	Std. Error	Beta		
(მუდმივი)	-.341	.361		-.945	.346
1 სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	2.565	.184	.759	13.906	.000

წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

საშუალოზე მაღალ რეგრესიის მაჩვენებელს. შესაბამისად, დასტურდება, რომ სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების ხარისხს და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვან დანერგვას შორის არსებობს მნიშვნელოვანი რეგრესიის მაჩვენებელი. რეგრესიის მაჩვენებლის მნიშვნელობა აგრეთვე დასტურდება ცხრილით.

კვლევის დროს აგრეთვე ჩატარდა უნივერსიტეტებსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა-

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში უნივერსიტეტებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა 4%-ით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვან დანერგვაში, ვიდრე სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების განვითარება, რაც ლოგიკურია, რადგან ბუღალტერია და აუდიტი მანაც პრაქტიკული პროფესიებია და კერძო სექტორთან თანამშრომლობა უფრო მნიშვნელოვანია

ცხრილი 7

რეგრესიის ანალიზი: უნივერსიტეტებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობა, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვა მოდელისპინაარსის

მოდელი	R	R კვად.	შეწონ. R კვად.	სტ. ცდომილება
1	.786 ^a	.618	.615	.5709264

a. დამოუკ. ცვლადი: (მუდმივი), უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობა
 b. დამოკ. ცვლადი: ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვა

წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

ნია ამ პროფესიების განვითარებისთვის, ვიდრე კვლევითი ინსტიტუტების განვითარებაა, თუმცა ამ უკანასკნელსაც საშუალოზე მაღალი მნიშვნელობა აქვს ამ პროფესიების განვითარებისათვის.

ცხრილ 8-ში მოცემულია უნივერსიტეტებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვან დანერგვას შორის რეგრესიის ანალიზის

დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განათლება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სააქციო საზოგადოებების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესში. დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტების მაღალი ხარისხი არის 57%-იანი წინაპირობა ფასს-ის წარმატებით იმპლემენტაციისთვის. აგრეთვე, კერძო სექტორსა

ცხრილი 8

რეგრესიის ანალიზის მნიშვნელობა: უნივერსიტეტებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობა, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სრულფასოვანი დანერგვა კოფიციენტები

მოდელი	არასტ. კოეფიციენტები		სტ. კოეფიციენტები	t	მნიშ.
	B	სტ. ცდომ.	ზეტა		
(მუდმივი)	-1.093	.381		-2.870	.005
1 უნივერსიტეტების და კერძო სექტორის თანამშრომლობა	3.008	.199	.786	15.141	.000

წყარო: შედგენილია კ. შვაბის ანგარიშის მიხედვით

მნიშვნელობის დადასტურება (p=0.000), ხოლო 39-ე გრაფიკში ასახულია ზემოაღნიშნული რეგრესიის ანალიზის გრაფიკული გამოსახულება.

და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მჭიდრო კავშირი არის 62%-იანი წინაპირობა ფასს-ის წარმატებით იმპლემენტაციისთვის.

LITERATURA/REFERENCES

[1] **Singer, R. A.** (2012). How to Integrate International Financial Reporting Standards into Accounting Programs. American Journal of Business Education. სინგერი, რ.ა. (2012). როგორ უნდა მოხდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრირება ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო პროგრამებში. ბიზნესის განათლების ამერიკული ჟურნალი.

[2] **The World Bank.** (2015). Georgia - Report on the Observance of Standards and Codes, Accounting and Auditing. მსოფლიო ბანკი. (2015). ანგარიშის სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი. კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC) საქართველო.

[3] **Schwab, K.** (2015). The Global Competitiveness Report 2014-2015. World Economic Forum, 1-565.